



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
KHARAGAULI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **68-682134359**
 თარიღი: **09/12/2021**
 პინი: **9069**

ადრესატი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წელს
 შემოსული საჯარო ინფორმაციების მოთხოვნაზე
 რეაგირების მდგომარეობის შესახებ**

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნების სრული დაცვით წარმართავს მუშაობას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირებისას. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 35-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული მოთხოვნილი და გაცემული საჯარო ინფორმაციების რეესტრში შეტანას.

2021 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციები არ გასაჩივრებულა, რეაგირების გარეშე არ დარჩენილა არცერთი მოთხოვნა. ყურადღებით ვეკიდებოდით საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნებს და ვიცავდით ვადებს, ამის გამო ზოგჯერ გამოყენებული გვაქვს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი, ვინაიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია იყო მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაკავშირებული და ცალკეული დოკუმენტები მოითხოვდა მოძიებას და დამუშავებას.

2021 წლის საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში კერძო და იურიდიული პირებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე სულ შემოსულია 40 განცხადება. ყველა შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე გაცემულია პასუხი. ძირითადად ითხოვდნენ საჯარო ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე გაცემულ

დახმარებებზე, საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციოდ თანხების გაცემის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში, ასევე ა(ა)იპ-ებში ხელმძღვანელი პირების და დასაქმებულთა სამტატო ნუსხისა და დაფინანსების შესახებ, 2021 წელში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ და სხვა სახის პროექტების შესახებ, მერიისა და მისი სამსახურების, ასევე საკრებულოსა და მერიის მიერ გახარჯულ სამიწვლინებო, საწვავისა და წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ, გაცემული ფულადი ჯილდოებისა და პრემია დანამატების შესახებ, ასევე მერიის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა რიცხოვნობისა და სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლების შესახებ, მოქალაქეებზე გაცემული ერთჯერადი ფინანსური დახმარების, სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე დახმარებისა და სარეზერვო ფონდიდან გახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების, ასევე მშპ პირების დახმარების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების შესახებ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ათვისებული თანხების შესახებ, ფულადი და სხვა სახის დახმარებაზე მოქალაქეთა მომართვიანობისა და მათზე გაწეული დახმარებების შესახებ, კოვიდ-19-ის პანდემიასთან საბრძოლველად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეული საქმიანობის, და ამ საკითხთან დაკავშირებით საბიუჯეტო თანხების გამოყოფისა და მოსახლეობაში საინფორმაციო პროგრამების მომზადებისა და განხორციელების შესახებ, მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული მრჩეველთა საბჭოს დებულების, შემადგენლობის, ჩატარებული სხდომების და საბჭოს მიერ გაცემული რჩევებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების შესახებ, მიწის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, საინფორმაციო მომსახურებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხების შესახებ, სატენდერო წინადადებების წარდგენისას მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე გაცემული მშენებლობების ნებართვის შესახებ, ბიუჯეტში გაწერილი არაკლასიფიცირებული თანხების დანიშნულებისა და ხარჯვის შესახებ, მაღალმთიანი სტსტუსის მქონე სოფლების განვითარებისათვის გამოყოფილი თანხებისა და ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოების შესახებ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათთვის დროებითი თავშესაფრის გამოყოფის საკითხებზე.

საჯარო ინფორმაციები გადაეგზავნათ: “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო-საქართველო“-ს, მედიაორგანიზაცია „ჩემი ხარაგაული“-ს რედაქციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“-ს თავმჯდომარეს, ა(ა)იპ ახალგაზრდა ინიციატორთა კავშირს, სახალხო დამცველის აპარატს, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი ფაქტი“-ს გამომძიებლებს, საქართველოს პარლამენტის წევრებს, საკრებულოს ფრაქციებს, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრს, ა(ა)იპ „საჩხერის შშმ პირთა რეგისტრირებულ კომისია“-ს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას და სხვებს.

შემოსული განცხადებები განეკუთვნებოდა მერიის კომპეტენციას, ყველა შემოსულ განცხადებაზე გაცემულია პასუხები.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

